ერთი შეცდომის ფასი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 27 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) - სკა (როსტოვი) 0:1 (0:1).

სკა: ივანოვი, გეტმანოვი, კოზაჩეკი, კრივობოროდოვი, ჩერტკოვი, შიკუნოვი, მატვეევი, ანდრიენკო, დორონინი, პონედელნიკი, კოპაევი.

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, პეტრიაშვილი, მეტრეველი, მელაშვილი, დათუნაშვილი, მესხი.

მსაჯი: ე. ოდინცოვი (ლენინგრადი).

მოხდა ისე, რომ სწორედ ამ უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩის წინ აღმოჩნდა თბილისის “დინამოს” ხელმძღვანელობა რთული პრობლემის წინაშე. გუნდს ერთდროულად დააკლდა ორივე ძირითადი ცენტრალური ფორვარდი - კალოევი და ბარქაია, ამ დანაკლისმა კი გამოიწვია გადაწყობა არა მარტო თავდასხმის, არამედ ნახევარდაცვის რგოლშიც. ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი პერეტრუბაციის შედეგად ცვლილება მოხდებოდა გუნდის საერთო სამოქმედო სქემაშიც.

მართლაც, მატჩის პირველ ნახევარში თბილისელები მეტწილად თამაშობდნენ მოთამაშეთა განლაგებით 1+3+3. ეს არ ნიშნავს, რომ იამანიძე რეგულარულად იმყოფებოდა ნახევარდაცვის რგოლში და მეორე ეშელონს ქმნიდა, მაგრამ ცენტრალური თავდამსხმელის პოსტი, როგორც ამას ტიპიური ბრაზილიური სისტემა გულისხმობს, მას არ ეკავა, ამიტომ შეტევის მუდმივმოქმედ ხაზში დარჩენილი იყვნენ მეტრეველი, მესხი და მელაშვილი. ჩვენი გუნდის ორივე ფლანგი ამ დღეს შესანიშნავად თამაშობდა, მაგრამ ზემოაღნიშნული “მინუს ერთი” ცენტრში სისტემატურად იგრძნობოდა. მელაშვილს არ შეეძლო შეესრულებინა შეტევის დამამთავრებელი ძნელი ფუნქციები იქ, სადაც მოწინააღმდეგე, როგორც წესი, ქმნიდა გაძლიერებული დაცვის ზონას.

ბრძოლა მინდვრის ცენტრისათვის, რომელიც მატჩის დასაწყიში მიმდინარეობდა, დამთავრდა “დინამოს” სრული უპირატესობით, ამიტომ როსტოველებმა დაცვის ძირითადი ძალების კონცენტრაცია მოახდინეს საჯარიმო მოედნის მისადგომებთან, ხოლო წინა საზის მოქმედება მთლიანად კონტრიერიშზე ააგეს და უნდა ითქვას, მათს ამ საპასუხო შეტევებს მეტისმეტად მწვავე და სახიფათო ხასიათი ჰქონდა. არმიელთა თავდასხმის ორგანიზატორი პონედელნიკი ძალზე დიდი ეფექტით ხელმძღვანელობდა ამ ოპერაციებს და კოტრიკაძეს პირველ ტაიმში რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა პონედელნიკის, კოპაევის მატვეევისაგან.

მაინც, სტუმრების ეს ცალკეული იერიშები არ შეედრებოდა იმ მძლავრ შტურმს, რომელსაც დინამოელები აწარმოებდნენ თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში. ჯერ კიდევ მე-4 წუთზე აიანიძემ კარგად გაიყვანა გარღვევაზე მესხი და მარცხენა გარემარბის გადაცემის შემდეგ როსტოველთა კარი ბეწვზე გადარჩა გოლს. გავიდა მცირე ხანი და მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმო მოედანზე უდიდესი სისწრაფით შეიჭრა მეტრეველი, რომელმაც სრული აღრევა შეიტანა მოწინაარმდეგე მცველთა შორის. უკანასკნელ მომენტში “დინამოს” ფორვარდებმა მაინც ვერ შეძლეს ამ უაღრესად ხელსაყრელი მომენტის გამოყენება. 22-ე წუთზე თბილისელთა მძლავრი შტურმი დამთავრდა იმით, რომ მეკარე ივანოვმა კუთხურზე მოიგერია ძნელი ბურთი.

მატჩის ყველაზე დრამატული მომენტი გათამაშდა 28-ე წუთზე. არმიელებმა შუა მინდორში წამოიწყეს კომბინაცია და მარჯვენა ფრთაზე გადააწოდეს ბურთი. აქ

ზეინკლიშვილმა დაასწრო მცველს, მიიღო ბურთი, მაგრამ სიჩქარეში სწორად ვერ დაამუშავა იგი და შეატოვა მოწინააღმდეგე თავდამსსმელს. ეს მოხდა კარის სიახლოეს. მატვეევმა, რა თქმა უნდა, არ დააყოვნა გამოეყენებინა მცველის ეს უხეში შეცდომა და გოლით დაამთავრა დარტყმა - 1:0.

მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო საკმარისზე მეტი იყო. მართალია, დინამოელებმა ტაიმის დასასრული საკმაოდ აბნეულად ჩაატარეს, მაგრამ შესვენების შემდეგ, პირველი წუთებიდანვე დაიწყო ხანგრძლივი შტურმი, რომლის გაძლება თითქოს წარმოუდგენელი იყო. შეუძლებელია აღწერილ იქნას ყველა მომენტი, რომლებიც განუწყვეტლივ იქმნებოდა როსტოველთა კართან, მეკარე და მცველები ზოგჯერ გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მაგრამ გოლი, თუნდაც ერთ საპასუხო გოლი, არ ჩანდა.

შეიძლება ჩვენი გუნდის თავდამსხმელებს (და არა მარტო თავდამსხმელებს) ვუსაყვედურით ის, რომ მათი შტურმი ხშირად ქაოტურ ხასიათს ატარებდა და მოთამაშეთა გაუვალ მასას ქმნიდა კარის წინ, მაინც ის, რომ როსტოვის სკა-ს კარი ამ დღეს გადარჩა გოლს, შეიძლება კიდევ ერთ საფეხბურთო საოცრებას მიეწეროს. უკანასკნელი შანსი დინამოელებს ჰქონდათ 88-ე წუთზე, როცა სიჭინავამ მიიღო იამანიძის გადაცემა და თავით გაგზავნა ბურთი კარისკენ. მაგრამ ეს უკანასკნელი შანსიც ძელმა გააქარწყლა.

ერთი შეცდომა ამ უკიდურესად დიდი მნიშვნელობის მატჩის წაგების ფასად დაჯდა. თბილისის "დინამომ" წელს პირველი დამარცხება განიცადა საკუთარ მინდორზე.

ბ. ქორქია.
"ლელო", 29 ოქტომბერი, 1963 წ.